



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვარაძე ნიკოლოზ სოლომონის ძე

გვარაძე ნიკოლოზ სოლომონის ძე [16 (28). XII. 1883, თბილისი, – 7. VII. 1960, იქვე], მსახიობი და რეჟისორი. საქართვე. სახ. არტისტი (1950).

სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1903 თბილ. ქართ. დრამ. დასში (ა. წერეთლის „პატარა კახში“ შეასრულა ერეკლე II-ის როლი). 1904–06 ქუთაისის ლ. მესხიშვილის დასშია. სხვადასხვა დროს მსახიობად და რეჟისორად მუშაობდა თბილ., ფოთის, სოხ. და ბაქოს ქართ. თეატრებში. რამდენიმე წელი გამოდიოდა თბილ. რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე, სადაც შეასრულა როლები: ბარილდო (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), პანტალონე (ხ. ბენავენტეს „ინტერესთა თამაში“), გეურქა (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), აგენტი (გ. რობაქიძის „მალშტრემი“), ჯიმი (ჯ. სინგის „გმირი“) და სხვ. 1931–48 თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ხუცია (ს. მთვარაძის „სურამის ციხე“ დ. ჭონქაძის მიხედვით), ყაფლანი (გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“), ჟერონტი (მოლიერის „სკაპენის ოინები“), კარპიჩა (მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“). სხვა როლები: ავეტიკა (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ნემნამოვი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ერეკლე (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), გრემიო (უ. შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“), მენგო (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“) და სხვ. მისი რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლები: ბ. ლავრენიოვის „რღვევა“, ს. შანშიაშვილის „პერეთის გმირები“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, გ. სუნდუკიანის „პეპო“ და სხვ. 1916-იდან იღებენ კინოში. როლები: ნინია („მამის მკვლეელი“, რეჟ. ა. ბეკ-ნაზაროვი, 1923), ვაჭარი („ხანუმა“, რეჟ. ა. წუნუნავა, 1926), ქერიმი („იბრაჰიმი და გოდერძი“, რეჟ. ზ. ბერიშვილი, 1927), თარჯიმანი („ჯანყი გურიაში“, რეჟ. ალ. წუნუნავა, 1928), მოხუცი ოიროტი („ოქროს ბილიკი“, რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1945) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: თეატრალური მემუარები, ტ. 1-2, თბ., 1949-52.

ა. გვენცაძე
